




କଲ୍ପନାମୀ

ଶ୍ରୀରାଧାର

ଶ୍ରୀରାଧାର

ମନ୍ଦିରରେ ପାତାଳରେ

କଣ୍ଠରୁ ପାତାଳ
ଲାଗୁଲାଗୁ ଶବ୍ଦ
ପାତାଳରୁ ପାତାଳ
ପାତାଳରୁ ପାତାଳ
ପାତାଳରୁ ପାତାଳ
ପାତାଳରୁ ପାତାଳ
ପାତାଳରୁ ପାତାଳ



პირველი მოძღვანება

პირველი გამოსვლა

ევადნე ქალიშვილები.

ევადნე

ნულარ აყოვნებთ ასე დიდხანს, უმატეთ ნაბიჯა!
ჩემი ძვირფასო გოგონებო,
შემოღით ჩქარა!
თმას და ტანსაცმელს მეტად ბეჭრ დროს ნუ მოანდომებთ!
როდესაც საქმეს მოვათვები, მაგის დროც მოვა.
დილით კი ჯერ სხვა სამუშაოს მოვკიდოთ ხელი.

ქალიშვილი

აქა ვართ უკვე, დანარჩენიც ახლავე მოვლენ.
ადრე ავდეჭით ამ ზემის მოსამზადებლად;
ოლონდ გვიბრძანე, სამსახურად მზადა ქართ ყველა.

ევადნე

მაშ მომეხმარეთ, გოგონებო, გაისარჯენით!
თუმც დლევანდელ დლეს მოგისმობთ ყველას
თან სიხარულით, თან კი არცთუ უხალისოდა.

რაღან ამ ზეიმს ჩვენი სათნო ქალბატონისთვის
მოაქვს წუხილი მარტოოდენ, ნაღველი ჩუმი.

ქალიშვილი

დიახ, ჩვენთვისაც, რაღანაც დღეს გვემშეიძობება
ლირსეული ყრმა, კისაც ასე დიდი ხანია
შევეჩიეთ და დავუმეგობრდით.
ვით იტანს ამას დედოფალი? თუ გადაწყვიტა,
თავის გაზრდილი დაუბრუნოს საკუთარ მამას?

ევადნე

უკვე მაშინებს, რას მოგვიტანს დღე ხვალინდელი.
ქველი ნალეველი მის სულში არ გამქრალა ჯერაც.
ვერ განიქარვა დღევანდლა მდგ ორმაგი დარდი
ქმრისა და შეილის დაკარგების გამო.
და ახლა, როცა შორდება ყრმას, ერთადერთ ნუგეშს,
რა ეშველება, დარდს როგორლა გაუძლებს ნეტივ?
ვით საშინელი მოჩვენება ჯოჯოხეთისა,
მარტოდ დარჩენილ მწუხარების აჩრდილი ცივი,
სასტიკი ხელით შეეხება, შეიპყრობს შიში.
და მერე, თავის ძვირფას გაზრდილს ვის აძლევს იგი!

ქალიშვილი

ეგ მეც ვიფიქრე.
როდი უყვარდა მეუღლის ძმა დედოფალს ჩვენსას;
თავის უხეში საქციელით შიშს ჰგერიდა ხოლმე.
ვერ დავიჯერეთ, დედოფალმა იმ კაცის შვილი
ვით გაიხადა საგნად ნაზი სიყვარულისა.

ევადნე

ლეიძლი შეილი რომ ყოფილიყო ის დედოფლისა,
დღევანდელი დღე მისთვის, მართლაც, შეიქნებოდა
მაღალი ჯილდო მშობლიური მზრუნველობისა.
შშვენიერი ყრმა აღტაცებულ ხალხის წინაშე
დიდი ზეიმით გადაადგამს დღეს პირველ ნაბიჯს
ყმაწვილობიდან მოყავილე სიჭაბუქეში.
მაგრამ დედოფალს ეს ნამდვილად არც უხარია.
მთელი სამეფო მას უმაღლის ამ მზრუნველობას,

შის გულში კი კვლავ მწუხარება იზრდება უფრო,
რაღანაც მძიმე შრომისათვის ეს სიხარული,
ასე უზომო, არ იქნება იმ ჯილდოს მსგავსი,
რასაც ბუნება აღამიანს უბოძებს ხოლმე.

ქალიშვილი

ეს, რა მშენივრად, დიდებულად ცხოვრობდა იგი,
ვიდრე მის ოჯახს უღიმოდა ბენიერება.
სანამ შეილისაც არ დაჰქარგედა მეუღლის შემდეგ
და ქვრივი ქალის მწარე დღეში ჩავარდებოდა.

ევადნე

ქმარი, შეწყვიტე მოგონება იმ ძვირფას დროზე,
ვერ დავიბრუნებთ მას ამგვარი ჩიეილით, მოთქმით.
ასე ძვირფასი შეილობილი ხომ შერჩა მაინც,
იგი ამითაც საკმარისად მდიდარი არის!

ქალიშვილი

ვინც სხვის ბავშვა ზრდის, ნუთუ მდიდარს უწოდებ იმას?

ევადნე

სასიხარულო არის კიდეც, თუ გაუმართლა.
დიახ, დედოფალს ლეიძლი შეილის მაგიერობა
ლიკუსის ვაუმა გაუწია. აქ სიწყნარეში
სწრაფად, მვენიერად იზრდებოდა იგი მის თეალწინ
და მას ეკუთვნის იგი ახლა მთელი არსებით.
შეილობილს აძლევს დედოფალი სამეფოს ნაწილს,
მის საკუთარ შეილს მამისაგინ რომ გადმოეცა
მემკერდეობით.

იმასვე აძლევს იმ უამრავ მამულს, ქონებას,
რომელიც თავის მშობლებისგან აქვს მიღებული.
სურს, ყოველგვარი სიკეთით რომ დალოცოს იგი,
თეით კი მშვიდ ნუგეშს ეძებს მხოლოდ სიკეთის ქმნაში.
„ხალხს ურჩევნია, როცა მასზე ერთი მბრძანებლობს“,—
გვსმენია მისგან ეს ნათქვამი, ბერები სხვაც კიდევ;
ამითი იგი იმსუბუქებს უბედურებას,
თავს რომ დაატყდა.

ქალიშვილი
დღეს მხიარული მომეჩენა, თვალები თითქოს
გაბრწყინებოდა.

ევადნე

მეც შეენიშნე. დაე ღმერთებმა
შეუნარჩუნონ, განუმტკიცონ გულის შენეობა,
რადგან ბედნიერს ჩეცნც აღეილად ვემსახურებით.

ქალიშვილი
ბედნიერება კეთილშობილს სასტიქს ცერ გახდის.

ევადნე

ვით შეგვიძლია ქალბატონს ვიმსჯელოთ ასე?

ქალიშვილი

ის მხიარული იყო, ბიჭი კი უფრო მეტად.
დილის მზის შექი გადაჰკვროდა დედოფლის სახეს.
ამიტრთხიალა სახარულმა გული უცრიად
და გამიშუქა ბნელი ღამე გარდასულ დღეთა.

ევადნე

ენაქარტალა ქალებიუით ბეერს ნულარ ვლაყბობთ,
როცა ჯერ კიდევ დააკრჩენია ამდენი საქმე?
ამ სიხარულმა ჩენს სამსახურს არ უნდა აენოს,
დღვანდელი დღე გუშინდელზე მეტს ითხოვს ჩვენგან.
დღ სიხარულმა თქვენს შრომამი იჩინოს თავი,
ისწრაფოს ყველამ—გააკეთოს თავისი საქმე.

ქალიშვილი

გვიბრძანე ოლონდ, აღვასრულებთ დაუყოვნებლად.

ევადნე

დედოფთალი რომ მეტისმეტად გულგახსნილია,
მე უკვე ვხედავ. სურს ძვირუასი განდევლობა,
შთამოძავალთა სამეცვიდროდ გადანახელი,
ჯჩენოს ყაელას,
რომ დღვანდელ დღის საკადრისად ბრწყინავდეს სახლი
და წესრიგი და სისუფთავე სუფედეს ყველგან,
ვით ამ ზეიმის ღირსეული თანამგზავრები.

რის გაკეთებაც მომანდეს მე, ახლავე გეტყვით;

დაუყოვნებლივ შეუდექით დარბაზის, მორთვას;
ძირს დააფინეთ ხალიჩები ფერად-ფერადი,
სავარძლებსა და მაგიდებს კი უჟეირფასესი,
კოხტად ნაქარგი ქსოვილები გადააფინეთ.

გოხოვთ, შეუხამოთ ძვირფას ნიკოდებს არაძვირფასნი,
მეტად ფაქიზი გემოვნებით და მოაწადოთ
სუსველაფერი სახეიმო მიღებისათვის.

სუფრაზე კოხტად განალაგეთ ჭურჭლეულობა,
რომ სტუმრებს უცხო ბრწყინვალებით მოსტაცოს შჩერა.
გოხოვთ, საქმარისი გაამზადოთ სასტელ-საქმელი.

ასე ინება დედოფთალმა, მეც ასე ვზრუნავ.
ნელსურნელოვან სანელებლათ კოხოვთ შეაზავოთ
სუსველაფერი, რაც კი სტუმრებს დავს მიერთმევა.
მამაკაცებს კი, როგორც ვხედავ, უბიძანეს უკვე,
რომ ტაქებიც ეტლებიცა და იარაღიც
იყოს ბრწყინვალე, ამ ზეიმის შესაფერისი.

ქალიშვილი

წავალთ.

ევადნე

კეთილი. მეც ახლავე მოგავებით უკან.
მაგრამ ჯერ ჩემს პრინცს უნდა შევაცდე, იქეოკენ მოდის.
იგი დღეს ცისერას ვარსკვლავივათ ამოდის ჩერენთვის,
გაბრწყინებული ნეტარების ხალი შექით.
ნება მიბომეთ, რომ დავლოცო იმედი ჩვენი!

მორავ გამოსვლა

ელპენორი. ევადნე

ელპენორი

აქა ხარ უკვე, ჩემო კარგო. ერთგულო ჩემო,
შენ, მონაწილევ ყველა ჩემი სიხარულისა?
ხედავ, ამ დილით რარიგ ძლიერ კარ ბედნიერი?
ვისაც ასეთი სიხარულით ვუწოდებ დედას,
იგი მე ახლა სიყვარულით რას არ მთავაზობსა:
29. ი. ვ. გოეთე

შაჩქეა მშვილდი და კაპარჭი ისრებით საესე,
ის მამამისმა ბარბაროსებს წართვა თურმე.
ბაგშობილანვე შეეხაროდი მე ამ მშვილდისარს,
მეტჩივნა სკეტზე დაკიდებულ ყველა იარაღს,
თუმც ვერ ვეტავდი მომეთხოვა, ეჩუქათ ჩემთვის.
ჩაძოვილებდი და ლამბას ხელით ესინჯავდი ხოლმე;
დიღხანს ვუცქერდი, ვით ნამდვილი შეკვარებული,
ირგვლივ ვევლიდი, ვაყოვჩებდი, რომ მშვილდი ისევ
თავის ღდვილას ჩამომეკიდა.

დღეს ძირისრულდა ეს სურვილი, დიდი ხნის ნატვრა.
ეს მშვილდი იძლა ჩემი არის და თან წავილებ,
როდესაც წავალ ქალაქისკენ მაშასთან ერთად.

ევადნე

ლირსეულია საჩქეარი და ბეერის მოქმედი.

ელპენორი

მაინც რას ამბობს?

ევადნე

დიდი არის ევ მშვილდი, მძიმე
ზოსაწევია, მეტვება, ხმარება შესძლო.

ელპენორი

გაეიზრდები და მაშინ შევძლებ.

ევადნე

შენი ძეირჭასი დედობილიც მაგასუე ფიქრობს.
იგი მას განდობს, რომ ნამდვილი ვაჟკაცის ძალით
ოდესმე შესძლო მოზიდვა ამ მაგარი ლამბის.
და იმედი აქვს,
გასროლილ ისარს არ ააცდენ ღირსეულ მიზანს.

ელპენორი

გამიშვით ოლონდ, თავისუფლად გავინავარდო!
დღემდე მე მხოლოდ ნიამორებჲ
და ჩიტუნებზე ვნადირობდი, დაბლა რომ ჰურენენ.
450

შაგრამ ოდესმე, როცა შევძლებ მშვილდის ხმარებას,
დიდო ღმერთობო, შემეწიეთ, ეს ნანატრი დრო
ზალე დამტდგეს,
და მაშინ ნახევ,
ძლიერ არწივს რომ ჩამოვაგდებ ლაუვარდებიდან.

ევადნე

როს მოსკოლდები ამ მოებს და ტყეებს,
სადაც ცხოვრობდი ამდენი ხარ,
არ გაიხსნებ ბაგშობას შენსას,
არ მოგვიგონებ?

ელპენორი

არ წამომყები? ნუთუ ეგრე ულმობელი ხარ?
ამიერიდან ნუთუ აღარ იზრუნებ ჩეპე?

ევადნე

ვერ წამოგყები, ჩემო მალხაზო,
შორს აღარ არის ის დრო, როდესაც
შენ დაგჭირდება სხეაგვარი ზრუნვა.
ქსლები მხალოდ ბავშვებსა ზრდიან,
ბიჭს კი აღმმრდელად სჭირდება კაცი.

ელპენორი

ეს მითხარ, ჩამა როდის მოვა ჩემს წასაყვანად?

ევადნე

შე სანამ მალლა, შუა ცაზე არ შემოდგება,
არ მოვა იგი.
შენ კი აღრიან, სისხამ დილით გამოგელვიდა.

ელპენორი

წუნელ სულაც არ მძინებია. უთვლემდი მე მხოლოდ
და თვალწინ მედგა ყველაფერი, რაც დღეს მელოდა.

ევადნე

სულ წინ ისწრაფეის შენი სული. მოუთმენელი,
ასე ელიან ნახვას შენსას ქვეშვრდომებიც.

ელპენორი

ვიცი, რომ მამაშ საჩუქრები გამომიგზავნა,
რაც მის მოსვლამდე, ამ დილითვე უნდა გადმომცენ
მისმა ელჩებმა. ხომ არ იცი, თა მომიტანეს?

ევადნე

აღბათ მდიდრული სამოსელი, როგორიც მხოლოდ
ერთს უნდა ეცვას, მარტოოდენ ძეს ხელიშიფისას,
ვისწედაც ხარიად შეჩერდება მრავალი თვალი,
რომ ხალხის მზერა გარევნობამ მიიპყროს მხოლოდ,
სულ ერთი არის, ის კაცის სულს ვერ აღწევს მაინც.

ელპენორი

სულ სხვა საჩუქრებს ველოდებოდი.

ევადნე

გიძლვებიან მდიდრულ, უძვირფასეს სამკაულებსაც;
შენთვის არაფერს მამაშენი არ დაინანებს.

ელპენორი

არ ვიტყვი უარს, თუ მომცემენ. ხელს არ ვერავ ზიზღით,
მაგრამ მპირდები მას, რაც გოგოს შეჰქერის მხოლოდ.
ცხენი მომგვარონ, ფიცხი ცხენი. ქარივით სწრაფი.
არა მყოლია ცხენი დღემუჯ, აწ უნდა მყავ ჯეს.
სხეისი ცხენები მე რას მარგებს. მე ჩემი მინდა.
დუმჭე ხან ერთით ვერიონობდი, ხან მეორეთი
და არც ერთი არ მეკუთნოდა, არ იყო ჩემი.
გვერდით მსახური მოძყვებოდა შეშინებული.
მე მსურდა ცხენის გაჭენება, ის კი ცდილობდა
სახლში უვნებლად რომ მოვეყვანე.
ნადირობა კი, რა თქმა უნდა. უფრო მერჩივნა.
დედოფლის გვერდით მიედიოდი ამხედრებული,
მაგრამ მე კარგად ვამჩნევდი ხოლმე,
იგი მარტო რომ დარჩენილიყო,
ცხენს უფრო სწრაფად გაიჭენებდა,
და მეც, ცხადია, თუკი მარტო აღმოვჩნდებოდი.

არა, მე მინდა, რომ ეს ცხენი საკუთრიად დამრჩეს,
რომ გავაჭენო. გრიგალივით თვალს მიეფაროს.
დე იყოს იგი შლეგი გიური, გაუწურათნავი,
შისი გახელნვა მომანიჭებს დიდ სიხარულსა.

ევადნე

დიდ სიხარულს კი მოგანიჭებს. მაგრამ მე ვეშობ,
შენთვის უვნებლად ჩაიაროს ამ სიხარულმა.

ელპენორი

მაგრამ სიხარულს ვეფაცი ხომ საფრთხეში ეძებს
და მეც ვაზეაცი გავხდები მაღლე.
რაღა თქმა უნდა, ბასრ მახვილსაც ჩამომიტანდნენ,
უფრო დიდს მასზე, სანადიროდ რომ დამაქვს ხოლმე,
საომარ მახვილს,
ლერწამიერით რომ შეგიძლია მოლუნო ორად
და ერთი დაჯვრით გადასხიბო. მაგარი როტი.
დიახ, რკინასაც რომ შემოჰკრა, გააჭრევინო.
მახვილი ფხა კი სრულებითაც არ შეეხაროს.
ოქროს ურჩხულის თავი უნდა უმკობდეს ვადას,
ეკიდოს ექვევი უძეირფასესი.
თათქოს მღვიმეში შეიქრა გმირი,
დასძლია ურჩხული, შებოჭა უცებ
და გაიხადა თავის მორჩილი.
მეზობელ ტყეში შევიჭრები ჩემი მახვილით
და ჩეხა-ჩეხით ძირს დავაგებ ბუმბერაზ ხეებს.

ევადნე

მაგ სიმამაცით მტერს დაიმარცხებ,
მაგრამ მეგობარს მოეპყარი მეკობრულადა.
დე შენს გულშიაც გადისროლოს ცეცხლის გრაციამ
სიკეთის ერთი ნაპერწყალი იმ მგზნებარ ალის,
თვით რომ უპყრია მარად წმინდა, უკვდავი ხელით
საკურთხეველზე და უფლის ფერხთ უახლოვდება.

ელპენორი

არ ვუდალატებ ჩემს მეგობარსა,
რასაც ლმერთები მიბოდებენ, გაუჭიარებ.

და თუ მექნება ყოველგვარი სიკეო ქვეყნად,
დანარჩენებსაც ეუნაშილებ სიამოვნებით.

ე ვ ა დ ნ ე

ახლა კი კეთილ გამგზავრებას გისურვებ, შეიღო.
რა სწრაფად განვლეს ამ დღეებმა. სიცოცხლის წლები
ცეცხლს ჰგავს, რომელიც პირველად ძლიერ ედება კოცონს,
და თუ მოედო, გადაბუგავს ყიდაფუერს უცებ.
სიჭაბუკესთან შედარებით მოხუცებასაც
დრო სწრაფადა ნთქავს, მოხუცთათვის ის სწრაფად შიძერის.

ე ლ პ ე ნ ო რ ი

მაშ მე დიდების მოსახვეჭად უნდა ვისწრაფო.

ე ვ ა დ ნ ე

და ლმერთებმა მოგცენ, შეიღო, იმისი ნიში,
რომ მოჩენებით დიდებისგან მსწრაფლ განასხვაო
დიდება წმინდა და ჭემარიტი.

ე ლ პ ე ნ ო რ ი

რას მეუბნები მაგ სიტყვებით, ვერ მავხდი კარგად-

ე ვ ა დ ნ ე

არა, სიტყვებით, თუნდაც შევრი გელაბარაკო,
არ აიხსნება ამგვარი ლოცვა,
რადგან ეს უფრო სურვალი გახლავს,
ვიდრე სწავლება და დარიგება.
მინდა ეს ლოცვა თან წაგაყოლო,
რომ ცხოვრებაში მფარველი გექნეს.
შენ თამაშობით გაიჩინე მილიკი ვიწრო
და სიჭაბუკას ფართო გზაზე გატვედი უჩი.
მიძევე იმ კაცს, ვინც ბრძენი და გამოცდილია!
არ ექნებოდა შენთვის აზრი, წინასწარ ეფთქვა,
უცხო ქვეყნებში თუ რა გელის; თვითონვე ნახავ.
ყველას სჯობია: მოუსმინე ბრძნულ, კეთილ რჩევას
და მოხუცებულ ადამიანს პატივი ეცი!

ე ლ პ ე ნ ო რ ი

სიამოვნებით აღვასრულებ მაგ დარიგებას.

ე ვ ა დ ნ ე

ვეღლე ლმერთებს, ლირსეული და გონიერი
თანამგზავრები გაპიყნინონ ამ ცხოვრებამი.
ბელნიერებას სისულელით ნუ შეერაცხყოვ,
ახალგაზრდობის ცოდვებს ხშირად გვატევებს იგი,
შემდეგ კი ჩვენგან მეტს მოითხოვს უფრო და უფრო.

ე ლ პ ე ნ ო რ ი

ფიახ, გენდობი, დედაჩემიც გენდობა დიდად,
იგი ხომ ძალზე ჭკვიანი არის,
მაგრამ ყოველთვის შენ გეითხავდა საჭირო რჩევას,
თუმცა შენ მედამ როდი სცემდი კითხვაზე პასუხს.

ე ვ ა დ ნ ე

ვინც სასახლეში დიდხანს ცხოვრობს, ბევრ რამეს სწავლობს,
უფრო კი დუმილს.

ე ლ პ ე ნ ო რ ი

რა სიხარულით დავრჩებოდი შენთან, სანამდე
არ გავხდებოდი საქმაოდ ბრძენი.

ე ვ ა დ ნ ე

თუ მაგას ფიქრობ,
ეს შენთვის უფრო საზიანო შეიქნებოდა.
პრინცი არ უნდა ალიზარდოს განმარტოებით,
ქვეშევრდომებშე მბრძანებლ იბას ვერ მიეჩვენა.

ე ლ პ ე ნ ო რ ი

შენს კეთილ რჩევას ნუ მომაკლებ მომავალშიაც.

ე ვ ა დ ნ ე

ყოველთვის მოგცემ, რა წამსაც კი მოითხოვ ამის,
თუნდ არც ითხოვო, მუდამ, თუკი მოსმენას შესძლებ.

ელპენორი

როს ცეცხლის პირას ეიჯექ და შენ ჰყებოდი ამშებს,
უწინდელ დიად საქმეებზე, აქებლი გმირებს,
მათ სიქელეს და დიდებულთა ღირსებას ნამდვილს,
აღელდებოდა ჩემს ძარღვებმი სისხლი მაშინვე
და გულმი ასე კიძახდი ხოლმე:
ნეტავ მეც ვიყო გმირი, ლირი მისი ქებისა.

ევადნე

ნეტავი შესძლო მაგ მულმიცი ძლიერი სჭრაუვეთ
მშევერვალზე ასვლა—როდია ის მიუჩარეველი!
მაშ ეს სურვილი მიიღო ჩემგან
გაძისათოვარ კუცნასთან ერთად!
მშეადობია, ჩემო ძეირფასო შვილო!
აგრე გამოჩნდა დედოფალიც. აქეთკენ მოღის.

მისამი გამოსვლა

ანტიოპე ელპენორი. ევადნე

ანტიოპე

თქეენ აქ მეგობრულ საუბარზე წამოგასწარით.

ევადნე

გაყრის წუთებმა სიყვარული გავვიძლიერა.

ელპენორი

მძიმე იქნება ჩემთვის მასთან გამოთხოვება.

ანტიოპე

დღეს შენ ყველანი შეგხვდებიან გულითად სალმით,
ახლა გამოსცდი ყოველივეს, რაც დღემდე გაკლდა.

ევადნე

ხომ არ მიბრძანებ, დედოფალო, კადევ რაიმეს.
წავალ იქ, საძაც უამრავი გვაქვს საზრუნავი.

ანტიოპე

დღეს ალარაფერს, ჩემო ევადნე,
შენზე მე მუდამ ქების მეტი არა მეოქმის რა.

მისამი გამოსვლა

ანტიოპე. ელპენორი.

ანტიოპე

მშვიდობით, შვილო. ბედნიერი იყავი ქვეყნად!
რარივ მიყვარხარ, მაგრამ მაინც გახარებული,
აუღოლვებლად გემშვიდობები.

საკუთარ შეილსაც ამნაირად დაუცილდებოდი,
მშობლიურ ხელით ჩავაბარებდი.

მეაცრისა და პირქუშ მოვალეობას.

დღემდე იყავი საყვარელი, მორჩილი შვალი,
წადი და ახლაც მორჩილება ისწავლე ისევ,
რომ მბრძანებლობა ისწავლო ამით.

ელპენორი

ათასგზის გმადლობ, დიდად გმადლობ, ძეირფასო დედავ!

ანტიოპე

მადლობა მამას გადლუხადე, რომ შენი თავი—
შენ ბავშვობის მმენიერი პირველი წლები
ახალგაზრდობის ერთადერთ ტკბილ ნუგეშად მომცა,
როცა მე ასე ჩამიმწარდა ბედნიერება.

ელპენორი

მებრალებოდი მეტისმეტად, ენატრობდი მუდამ
შენ შვალი, მე კი ბიძაშვილი დაგვებრუნებოდა.
რა ჩინებული ამხანაგი მეყოლებოდა.

ანტიოპე

ის შენზე ოდნავ დიდი იყო. ორივე დედა
შევპირდით ქმრებს, რომ მემკედრებს დაუცბადებდით.
თქვენ დაიბადეთ და იმედის ახალმა შუქმა

გასხივოსნა მამათქვენთა სასახლე ძველი
და ორივე ძმის სამფლობელოს გადაანათა.
ორთავ უეცრად განუახლდათ სურველი მძლავრი:
ეცხოვრათ ქვეყნად, სამეფონი ემართათ ბრძნულად
და სახელოვნად ეომათ კიდეც.

ელპენორი

წინათ ისინი იბრძოდნენ ხშირად,
ახლა კი რატომ შევწყვიტეთ ბრძოლა?
რატომ სდუმს დადხანს იარაღი მამაჩემისა?

ანტიოპე

ქაბუკი იბრძეის, მოხუცი კი სიმშვიდით ტკბება.
და აი, ერთხელ მეუღლეს ჩემსას
ერგო ზღვის გაღმა მტრის დაწყნარება.
ალიძრა იგი მუქარით, რისხეით
მტრის ქალაქების ასაოხრებლად.
მაგრამ მას ლმერთი უცემდა მტრულად
და ვერაგულად დალუჟა კიდეც
ჩემი ორთავე თვალის სინათლე.
მხნე, გულოვანი მიუძლეოდა ის თავის ლაშქარს
და ძვირფას შეიღს კი დედის მეურდზე სტოუებდა იგი?
სად იქნებოდა ბავშვი აბა ისე უშიბრად,
თუ არა იქ, სად თვით ლმერთებმა უძოძეს ბინა?
დაემშეიღობა პატარას და სთქვა: „გაიზარდე!
და პირველი შენი ტიტინი
და ნაბიჯები შენი პირველი
შამაშენს ზღურბლთან შემოუებოს,
როცა ბრძოლიდან დაბორულდება გამარჯვებული!“
რა მედიდური დალოცვა იყო!

ელპენორი

შენმა ნალევლმა მოლად შემიპყრო, ვით ამ მხნეობამ,
მაგ თვალები რომ ბრწყინავს ახლა. ავენთო ლაშის.

ანტიოპე

იგი დაეცა ვერაგულად ჩასაფრებული
მებრძოლის ისრით დაკოდილი, გამარჯვების უამს.

დღისით ქეითინით ვაუსებდი ოთახს,
ლამით კი ბალიშს ცრემლითა ვრწყავდი.
მეცრდში ვიკრავდი ძუძუთა ყმაწილს
და სულთამა-უშმი ვეიებდი შვებას,
შაგრამ როდესაც დავკარგე იგრი,
როცა მეცრდიდან მომწყვიტეს ბავშვი,
მის შემდეგ დავრჩი სულ უნუგეშოდ.

ელპენორი

ნუ მიეცემი მშუბარებას და ნება მომეც.
შენთვის რაიმეს შეც ვნიბნავდე, ძვირფასო ლედავ!

ანტიოპე

ო, უგუნურო დედაქაცო, დალუბე თავი,
შენვე მოისცე ყოველგვარი ინედი შეხი.

ელპენორი

თავს რად იწყევლი, დამშაშავე როცა არა ხარ?

ანტიოპე

ხშირად უბრალო შეცდომაც კი გვიჯდება ძვირად.
ელჩებს ელჩები მოპყვებოდნენ დედაწემისა,
მისთან მიწვევდნენ. მიმიხმობდნებ, უგონათ, რომ იქ
შეცდლებდი დარღის შემსუბუქებას.
მის ჩემი ბიჭის ნახვაც უნდოდა,
მისი სიბერის ტკბილი ნუგეშის.
ყავლა ფიქრობდა, შასთან ბაასი
და მოგონება გარდასულ დაუთა
მშუბარე სევდას გამიქარვებდა.
მეც დავუჯერე და გავემგზავრე.

ელპენორი

შითხარი სწორად, რა იდგილას მოხდა ეს საქმე?

ანტიოქე

გეცოდინება შენ ის თხემი: ჩლვის ნაპირიდან
წამომართული ჩვენს მზარეს რომ მარჯვნიდან საზღვრის.
გზა იქნეთ გველო და ის კუთხე სულაც არ იყო
საშიში თითქოს მტრებისა და ყაჩაზთა გამო.
ეტლს მოჰყებოდა რამდენიმე მსახური მხოლოდ
და მაზლდა ერთი მანდილოსანი.
მთათა თხემის წინ ერთ ალგილას კლლე წამომდგარა,
ბებერ მუხას რომ დაუფარავს ფართო რტოებით;
კლდიდან ანჯარა. ცივი წყარო გამოჩუბჩუბებს.
სწორებ იმ ადგილს შეგჩერდით ჩვენ, იმ მექის ჩრდილში.
ეტლიდან მყისვე გამორშევს ცხენები ჩემმა
მსახურება და გაიფანტნენ აქეთ-იქითა.
ერთი წავიდა ტყებში ფუტკრის მოსანახავიდ,
მოიწადინა ჩვენთვის თაფლით გამასპინძლება;
მეორე ცხენებს წყალს ასმევდა, წყაროს ძირს მდგარი,
და მესამე კი საჩრდილობლად გვიჩტვრევდა რტოებს.
უცებ შესკივლა სუსელაზე შორს მუოფხა მონამ,
ახლოს მუოფი კი წინ გაიჭრა და გაიმართა
სასტიკი ბრძოლა
უიარალო მსახურებს და იარალიან
თავუამსახმელთ შორის, ბუჩქნარიდან რომ გამოიჭრენ.
განკმირულები დაეცნენ ძირს ერთგულნი ჩემნი,
ჩემი მეტლეც დაიღუა. რომელმაც წაშევ
თავის ცხენები მიატოვა და შეეცადა
ჩვენს დაცვას ქვებით, თავგანწირებით იბრძოდა იგი.
გაძლევა ცეკვეო, ვერ შევძელით. ავაზაკები
ფიქრობდნენ, ყმაწვილს წავგართმევდნენ ძალზე ადვილად.
მიაგრამ ხელახლა გაჩალდა ბრძოლა.
რა თავგანწირებათ არ კიბრძოდით მისი გულისთვის!
არ ვანებებდი, შვილი მაგრა ჩავიკარ გულში.
მხლებელი ქალი კი საშინლად კიოდა ამ დროს,
მტრებს ხელით მისტელა, ცლილობდა მათ მოგერიებას,
ვიდრე მახვილით არ დავიკერი,
არ ვიცი განხრას თუ მემთვევითა,
ღონემიხდილი დაეცა ძირს და
მყისვე გამვარდა შვილი ხელიდან.

მხლებელი ქალიც ძირს დაეცა დაჭრილი მძიმედ.

ელპენორი

ო, რატომ ვიყავ პატარა და ასე შორს თქვენგან
იმ დროს, როცა თქვენ ასე ძლიერ გინდოდათ შეელა.
ხელებსლა ვმჯილავ, როცა ვუსმენ ამ მწარე ამბავს,
ქალთა კივილი მესმის: „გვიხსენ! იძიე შური!“
ზომ მართალია, დედაჩემთ, ვინც ლმერთებს უყვართ,
იქ აგზავნიან, სადაც უფრო საჭირო არის?

ანტიოქე

ასე გავზავნეს ჰერკულესი და ოზეოსი,
იაზონი და ძეელი დროის მრავალი გმირი.
გვირს საფრთხე თვითონ ექებს მუდამ, გმირი კი საფრთხეს,
ისინი ერთურთს სწორედ ასე ხვდებიან ხოლო.
მაგრამ, ეჭ, საფრთხე ხშირად იმას დაატყდება თავს,
ვინც უძლურია და შიშისგან ფითრდება მის წინ.
სისხლში მცურავი ჩვენ მთიელმა მშეგმსებმა გვპოვეს,
მათ შემიხვიეს კრილობები და მომაკვდავი
შინ მიმიკვანეს.
რარიგ პირქეში მომეჩვენა ეს ბინა მაშინ.
გადაბუგული და მტრისგან მთლად აოხრებული
მეტერებოდა დიდებული სასახლე ჩემი.
იმ დღიდან ტანჯვამ ჩემს კერაში დაისადგურა,
მთლად დამაღუმა მშუხარებამ აუტანელმა.

ელპენორი

ვერ მიაგენით იმ მოღალატეს,
ვინც ჩაიდინა ეს ბილწი საქმე?

ანტიოქე

კულა კუთხეში მამაშენმა დაგზავნა ხალხი,
უბრძანა კარგად გაეჩერიყათ ზღვის სანაპირო
ბუჩქნარი, თხემი. სძებნეს, მაგრამ ამაოდ დაშვრენენ.
წყლული ნელ-ნელა მიმთელდებოდა
და მასთან ერთად თანდათანობით
ძლიერდებოდა ჩემი ნაღველიც,

ვიდრე შმაგ რისხვად არ გადაიქცა.
 მაგრამ უმწეოს რა უნდა მექნა,
 დუშმანზე როგორ შეძია შური?
 მოვუწოდებდი მეხსა და ელვას,
 კუხმობდი ათას საშინელებას.
 ჩუმად რომ დაძრშის დედამიწაზე
 და დამნაშავეს სჯის ძალზე მკაცრად:
 „დიდო ლმერთებო, მოულინეთ უბედურება,
 მსწავლ შეიპარით თქეენი ხელით სამართლიანით:
 როს ჰეიმიდან ბრუნდება ლალი,
 ალსავს დიდი სიხარულითა,
 ან როს ნადავლით დატერთული თავისი სახლის
 კარებს შეაღებს, ზედ ზლურბლევე დასაჯეთ იგი!“
 სასტიკი წყველა იყო ჩემი გულის ძინილი
 და ბაგებზეც მეკერა წყველა.

ელპენორი

რა ბედნიერი იქნება ის, ვისაც ლმერთები
 გახდიან ზენი დაუმცრალი შურისძიების
 აღმასრულებლად.

ანტიოკე

ყოჩალ, ყოჩალ, ჩემო შვილიყო!
 ჯერ ცოტა კიდევ მომისმინე, რა მოხდა შემზევ,
 რადგანაც იგი შენც შეგეხება.
 თუმც ძლიერ კარგად მექცეოდა ძმა მეულლისა,
 მაგრამ ვგრძნობდი, რომ მე ვცხოვრობდი მისი წყალობით
 და, რასაც იგი მიბოძებდა, ყოველივეზე
 უნდა იმისი მადლობელი გავმხდარიყო.
 ამიტომ მალე გადახსახლდი მოხუც დედასთან
 და იქ ვცხოვრობდი, ვიდრე ლმერთმა არ მიიკითხა.
 მაშინ კი უკე ყოველივეს მფლობელი გაეხდი,
 რაც მამაჩემმა დამიტოვა ან დედაჩემმა.
 ამაოდ დავშვრი, გამეგო რამ დაკარგულ შვილზე.
 ბევრი სტუმარი უცხოელი მაძლევდა იმედს
 და მეც მჯერობა სუკოველოვის ნაოქები მათი.
 ძალზე გულუხვად ვმასპინძლობდი, ვასაჩუქრებდი,

მაგრამ ყველანი მატყუებლნენ, დავრწმუნდი ბოლოს.
 ჩემმა სიმდიდრემ საქმროები მოხიბლა მალე.
 ზოგი ახლოდან, ზოგიც შორით მოვიდა ბევრი
 და ჩემს გარშემო მოლოდინით დაიბანავეს.
 თუმც გული მოხვედა მარტოდმარტოს შეცხოვრა ისევ
 და მოვცვედარიყავ, გარდაცვლილთ ჩრდილთ გაეკიდებოდი,
 მაგრამ ცხოვრება მეარნახობდა, ამომერჩია
 ძლიერი საქმრო, — ქლი მარტო ვერ გასძლებს დიდხანს.
 პოდა, რჩევისთვის მამაშენიან გამოვეზურე.
 თუმც, გაგიტყვლები, არასდროს არ მიუყარდა იგი,
 მაგრამ მის ჭეულს მე ანგარიშს უუწევდი მუდამ.
 იქ კი ზენ შეგვედი და პირველი ხახვისთანავე
 მიგილო გულმა, შემიყვარდი მაშენვე ძლიერ.

ელპენორი

მე ახლაც მახსოვს, დედაჩემო, ვით გამოცხადდი.
 ბურთს ვთამაშობდი, მაშინვე შორს ვისროლე იგი
 და მოვირბინე, რომ მენახა ქამარი შენი.
 ალარ მინდოდა წავსულიყავ, ვიდრე არ მიხმე
 და არ მაჩევებ მხეცი მასზე გამოსახული.
 ლამაზი იყო, დღემდე მიყვარს ყურება მისი.

ანტიოკე

მუხლზე დაგისვი, შეგხედე და თავს ვუთხარ წამსვე:
 „ი, ეს არის ალსრულება შენთა სურვილთა!
 ხშირად მინახავს ჩემს ბინაში იგი მოსული!
 ჩემს წარმოსახვას რაოდენჯერ არ სჩეუნებია
 კერასთან მჯდომი წინაპართა ძველისძველ სკამზე.
 აი, ასეთის წინამძღვრობას ვფიქრობდი მუდამ.
 მის ყოველ კითხვას სიხარულით გავცემდი პასუხს“.

ელპენორი

და ზენ მე მართლაც მიწინამძღვრე, ვით გითქვამს მაშინ.

ანტიოკე

„ი, ეს არის!“—მაუწყებდა გული, როდესაც
 ზენს თმებში თითებს ვათამაშებდი

და შენს საყვარელ, ლამაზ თვალებს ვკოცნიდი ჩარჩად.
„აა, ეს არის!“ თუმც არ არის ის შენი შვილი,
მაგრამ შენივე მოდგმისაა, შენივე გვარის.
მალალი ღმერთი შენს ვედრებას რომ შეისმენდეს
და მას შეპქმნიდეს სალი კლდისაგან,
მაშინვე შენს ლვიძლ შვილს უწოდებდი.
დიახ, ამ ყმაშვილს შენი გული შიიჩნევს შვილად”.

ე ლ პ ე ნ ო რ ო

და იმ დროიდან მართლაც გავხდი მე შენი შვილი.

ა ნ ტ ი ო პ ე

შენ მალე მიცან და შემიყვარე.
როდესაც ძიძა შემოვიდოდა,
რომ წაეუვანე დასაძინებლად,
სულაც არ გსურდა შენ მასთან წასკლა,
ყელზე მომხვევდი ორივე ხელს და
გსურდა ჩემი მკერდში ჩამაღლიყავ.

ე ლ პ ე ნ ო რ ო

ახლაც კი მახსოვს, თუ რა ძლიერ გალალებული
ვიყავი, როცა წამომიყვანე.

ა ნ ტ ი ო პ ე

ძლიეს დავითანხმე მამაშენი, რომ შენი თავი
დაეთმო ჩემთვის. პირობა მივეც,
ვით საკუთარ შვილს, გაგფრთხილებოდი.
„დამითმე შვილი, ჩემთან ცოს,—ვევედრებოდი,—
ვიდრე ჭაბუკი შეიქნებოდეს!
დე გახდეს იგი ყველა ჩემი სწრიავის მიზანი!
ვინც უნდა იყოს, არავრს არ გავყეები ცოლად.
მინდა ვაცხოვრო, როგორც ქვრივმა, და ასე მოვკვდე—
ჩემი სამეცნოს გვარიან ნაწილს
მეც მივუმატებ მის სამეცვიდროს!“
მაგრამ კვლავ სდუმდა მამაშენი დაფიქრებული.
მაშინ შევძახე: „კუნძულები მიიღე ახლავ,
ყველა კუნძული—საჭინდრად ამის!

შენი სამეცოც განამტკიცე, დაიცავ ჩემიც
და გაუფრთხილდი ყოველივეს შენი ზეილისთვის!“
გასჭრა ამ სიტყვამ, როგორც იქნა, დავიყოლიე,
რადგანაც იგი მუდამ იყო ბატივმოყვარე
და მბრძანებლობას დახარბებული.

ე ლ პ ე ნ ო რ ო

ნუ ჰქიცხავ შენ მას! მბრძანებლობა ღმერთების დარად
არის სურვილი ლირსსაქებარი.

ა ნ ტ ი ო პ ე

შენ ჩემი გახდი. რაოდენჯერ ვკიცხავდი ჩემს თავს,
რომ მხოლოდ შენში, მხოლოდ შენი საშუალებით
ვპოვე წამალი დაჭრილ გულის გასამოელებლად.
დაგიწყე ალზრდა. შემიყვარდი თანდათან ძლიერ
და უფრო მტკიცედ დავამყარე შენზე იმედი.

ე ლ პ ე ნ ო რ ო

ჰოი, რარიგ მსურს, გაგიმართლო იმედი ყველა.

ა ნ ტ ი ო პ ე

ეს ის იმედი როდი არის, სასტიკ ზამთარში
რომ აკოკრდება გაზიაფხულის ყვავილის მსგავსად
და შემოგცინებს დამწიფებულ, ტქბილ ნაყოფიდან.
არა, სასტიკმა უბედურებამ
გარდაქმნა ყველა ჩემი სურვილი
და ჩემი გული ანთებულია
განადგურების შმაგი წყურვილით.

ე ლ პ ე ნ ო რ ო

ნუ დამიმალავ, ყველაფერი გამაგებინე.

ა ნ ტ ი ო პ ე

გაშ მომისმინე,—რომ გაიგო, დრო დადგა უკვე:
შენ იზრდებოდი, მე კი ჩუმად თვალს ვალევნებდი
შენი ძალის და მისწრაოფების განეითარებას
და ვიძახოდი: „დიახ, იგი ჩემთვის შობილა!

ის შურს იძიებს იმ საზიზლარ ავკაცობისთვის,
მე რომ წინოვრება მთლად დამინგრია."

ელპენორი

ცხალია! ცხალი!

არ დავმშვიდები, ვიდრე შენს მტერს არ აღმოვაჩენ
და მის ცოდვილ თავს არ დავატეს საშინელ რისხვად
შურისძიების სისასტიკეს, ულმობელობას.

ანტიოპე

მაშ აღმითქვი და შემომფიცე. მე შენ მიგიყვან
საკურთხეველთან ჩემი კერის პენატებისა.
მათი შეწევნით იზრდებოდი შენ ბედნიერად!
ისინი სდუმან კერის პირას, დამშუბრებულნი,
და ჩენ გვისმენენ.

ელპენორი

მათ დიდ პატივს ვცემ, მზადა ვარ მუდამ
მადლიერება მივაგო ჯილდოდ.

ანტიოპე

ღრმა მწუხარება იპყრობს ხოლმე
უკვდავ არსებებს,
როდესაც მათგან დაცულ კერას
ჩაქრობა ელის,
როცა ახალი თაობისგან
ახალი ცეცხლი
აღარ ჩაღდება და სახლს აღარ
აშუქებს ალი;
ამაოდ სცდიან თავის სუნთქვით
მის გაჩალებას,
დანახშირდება,
განიბნევა ჰაერში ფერფლი.
ღრმა თანაგრძნობით გიცქერიან
ისინი ახლა,
და მათ ურჩობას როდი ვბედავ,
როცა შენ გიხმობ:

აი, ამ მშვიდი საკურთხევლის
წინ შემომფიცე,
რომ შურს იძიებ!

ელპენორი

რასაც მოითხოვ, აღვასრულებ სიამოვნებით.

ანტიოპე

დაუცხრომელი დაძრწის ქვეყნად
შურისძიება,
კიდით კიდემდე გაფანტულა
ამალა მისი,
რომ დამნაშავეს მისწედეს ყველგან,
დასაჯოს მყისევ.
ის უდაბნოშიც ხეტიალობს
მის საძებნელად,
ერთ მლვიმესაც კი არ დასტოებს
არც აქ და ორც იქ
შეუმოწმებელს, რომ ის საღმე
არ დაემალოს,
და ყველგან დაპქრის, დამნაშავეს
არ ჰპოვებს ვიდრე.
მისი ნახევისას შიში იპყრობს
ბოროტის ჩამდენს,
ფერდაკარგული, სასახლიდან
ტაძრისკენ მირბის,
ხოლო ტაძრიდან ლია ცის ქვეშ:
ტყე-მინდორ-ველად,
როგორც სნეული, თავის საწოლს
ხშირად რომ იცვლის.
დილის ნიავი ფოთლებში რომ გაისისინებს,
შეაკრთობს ხოლმე;
მუქ ღრუბლებით შემობურული
შურისძიება დამნაშავეს გადუვლის თავზე,
არ შეეხება და უმალევ
შეაქცევს ზურგსა,
თუმც კარგად იცის, რომ ლირსია იგი დასჯისა.

აშასობაში ისევ ფრენით ბრუნდება უკან
 და ხედება კვლავ მის გაშტერებულ, საბრალო მზერას.
 დაუბრიალებს მბრძანებლურად თავის დიდ თვალებს,
 ქრუნჩხებას დაიწყებს შიშისაგან ლაჩარი გული,
 სახსრებში მდგარი თბილი სისხლი მსწრაფლ გასწევს მისკენ,
 იქ კი მაშინე იყინება და დამნაშავე
 აკანქალდება, სიცივისგან მთლად შეპყრობილი.
 სწორედ ამგვარად შეხედები მას, თუკი ოდესმე
 ვედრებას ჩემსას შეისმენენ დიდი ღმერთები
 და მასზე ნათლად, გარკვეულად მიგითითებენ.
 ნუ შეიმრალებ ბოროტმოქმედს, ძეირფასო შვილო,
 უანგარიშე მეყაცრად, დიდხანს ტანჯვანი ჩემი
 ცივი, შიშველი მახვილის წვერით!
 სიბრალულმა და შეცოდებამ
 ან თანაგრძნობამ,
 რაც ჩვენ ყოველთვის აღგეძვრება
 ტანჯულთა მიმართ,
 წილხევდრმა მხოლოდ ბეღნიერი მეფეებისა,
 ძალუძა დაგტოვონ,
 ჩამოგცილდნენ,
 თვალს მიეფარონ,
 რომ მერე, შენ რომ მოისურვო
 იმათი ხელი,
 ველარ შეიძლო შეპყრობა მათი!
 აპა, წმინდა ქვა და შემომფიცე,
 რომ აღასრულებ ყველა ჩემს სურვილს.

ელპენორი

ვფიცავ.

ანტიოპე

და არა მარტო იგი უნდა შეიქნეს მსხვერპლი
 შენი რისხეის და შურისძიების,
 არამედ მისი შთამომავალნიც,
 ცოდვილი ძალით გამტკიცებულნი,
 ჩრდილებად უნდა გადააჭციო.
 მაგრამ თუ იგი გარდაცვლილია,

საფლავსა შიგან არის მდებარე,
 მაშინ შეილები და შვილიშვილი
 აიყვანე შენ იმ მაღალ ბორცუმე,
 რომელსაც ასე სწყურია სისხლი,
 და მათი სისხლი იქ დააჭციე,
 რომ მისი სული დალურილმა სისხლმა
 შეაკრთოს წამსვე უნებურადა
 და განსვენებით საფლავში მწოლმა
 ყელგამოლადრულ ჩრდილების ნახევით
 შეძრწუნებულმა გამოილვიძოს.
 და შეგიპყროთ შიშმა და ძრწოლამ,
 შვილნო მზაკვრობის, ბოროტებისა,
 აღარ გელირსოთ მშეიდი სიცოცხლე
 და არც სიკვდილი დამშვიდებული,
 რომლის დროს სტოკებს კაცს სამუდამოდ
 სიხარულიც და ტანჯვაწამებაც.
 როს მომაკვდავი ბოროტმოქმედი
 მოუხმობს შვილებს დასალოცავად
 და ხელს ცახცახით გაიწედის მათკენ,
 სიკვდილმა მყისევ მოულოს ბოლო,
 რომ ვერ შეეხოს საყერელ თავებს.
 აპა, დაიჭი, ჩემო იმედო,
 და შემომფიცე ამ წმინდა ქვაზე,
 შური იძიო, როგორც შეგფერის.

ელპენორი

ჩემს გულს არასდროს არ უგრძვნია შურისძიება,
 რადგან არავინ უსამართლოდ არ მომქუება;
 თამაშობის დროს ვინმესთან თუ მომსელია ჩხუბი,
 სალიმოსათვის სულ ადვილად შევრიგებივარ.
 შენ კი უცნობი ცეცხლით ამანთე
 მძიმე, ფარული სევდა გამანდე
 და გმირობისთვის აღმაფრთოვანე,
 რომ გაბედულად გადავდგა უკვე
 ამ ცხოვრებაში ნაბიჯი სწორი.
 დიახ, პირველი მრაისხანებით გულანთებული

და ბაგეთაგან წამოოქმული პირველი ფიცით
ვიძლევი აღთქმას ამ წმინდანთა წინაშე მდგარი,
რომ სამუდამოდ შენი საქმის ერთგული დავრჩე.

ანტიოპე

ნება მიბოძე, ერთადერთო ჩემო იმედო,
ამ კოცნით შუბლზე აღგიბეჭდო ყველა სურვილი.
ახლა კი გავიალ ჭიშკრის იქით
წმინდა წყაროზე,
საიდუმლო კლდით გადმომსკდარი ცეკვით რომ მოხტის
და ძირს უსველებს ამ გალავნის ძევლისძველ კედლებს.
ერთ წუთში ისევ დაებრუნდები, ძვირფასო, შენთან.

მეზოთე გამოსვლა

ელპენორი

ნეტავ ვიცოდე, დედაჩემი იქ რად წავიდა!
დამდგარა წმინდა ნაკადის ბირას
და ლრმა ფიქრებში ჩანს ჩაძირული.
ხელები უკვე დაიბანა, შემდეგ მქლავებიც...
შუბლსა და მკერდზე შეისხა წყალი
და ცას შესცერის.
ეს რაღას ნიშნავს, მიწას მესამედ
პეშვით რომ წყალი გადააღვარა?
ნეტავ რა აღთქმას ასრულებს იგი?
აქეთკენ მოდის. აი, უკვე გამოსცდა ჭიშკარს.

მემკვეთე გამოსვლა

ანტიოპე. ელპენორი.

ანტიოპე

ნება მიბოძე, ერთხელ კიდევ გითხრა მადლობა?

ელპენორი

მადლობა? რისთვის?

ანტიოპე

რომ მომხსენი სიცოცხლის ტვირთი.

ელპენორი

მე? შენ მოგხსენი?

ანტიოპე

სიძულვილი ტვირთია მძიმე;
მკერდის სილრმეში საბრალო გულს ჩაჰეტავს იგი-
და, ვით სამარის მძიმე ლოდი, ძევს სიხარულზე.
ყველა კაცისთვის ერთადერთი ნუგეში ტკბილი
არის ნათელი სიხარულისა.

როცა ღრუბლებში გაძქრება იგი,
აღარ გვიღიმის წარმტაც ფერებით
სიხარული და ბეღნიერება.

როგორც ღმერთების ხელს, ყოვლის შემძლეს,
შენ ჩაგაბარე ნაღველი ჩემი
და მშვიდად ავდექ, ვით ლოცვიდან დგებიან ხოლმე-
ჩამოვიბანე შურისძიების
ქალღმერთის ხელის შეხებისგან
დატოვებული ლაქა ყოველი.
და როგორც ფხვიერ ნიადაგში, ჩემს გულშიც ახლა
ფესვებს იდგამენ სიხარულის ნორჩი ყლორტები,
ემზადებიან დღის ნათელზე ამოსასელელად.

ელპენორი

მენდე თაშიმად! არაფერი არ დამიმალო!

ანტიოპე

ვინ იცის, იქნებ ცოცხალია, ვისაც მე ვგლოვობ!

ელპენორი

მის გამოჩენას სიხარულით მივესალმები.

ანტიოპე

მითხარ პირდაპირ, გულახდილად, ძალავს აღმითქვა,

რომ სამეტევიდროს ნახევარს მას უკანეე მისცემ,
თუ კი ცოცხალი გამოჩნდა და დაბრუნდა სახლში?

ელპენორი

სულით და გულით.

ანტიოპე

მამაშენმაც აღმითქვა მე ეგ

და შემომფიცა.

ელპენორი

მეც, აღგითქვამ, ვფიცავ შენს წმინდა,
განბანილ ხელებს.

ანტიოპე

დაკარგული შეილის მაგიერ
შენს ფიცს, შენს აღთქმას მე მივიღებ.

ელპენორი

ერთი ეს მითხარ,
რა ნიშნით ვიცნო, რომ შემომხვდეს მე იგი სადმე?

ანტიოპე

არ ვიცი, ღმერთნი მას რა ნიშნით შეგახვედრებენ.
მაგრამ იცოდე, როს ყაჩილებმა
გამომაცალეს იგი ხელიდან,
ყილზე ეკიდა ძეშკვი ოქროსი,
ძეშკვზე კი ხატი დიდებულ მხისა.

ელპენორი

მაგ ნიშანს თავში ჩავიბეჭდავ.

ანტიოპე

მე სხვა, მეორე
ნიშანსაც გეტყვი, თანდაყოლილს დედის მუცლიდან,
არ შეიძლება მისი შეცვლა, გადაეყოება.

ელპენორი
კარგად ამიხსენ!

ანტიოპე

კეთაზე აქვს მოშავო ხალი.

ასეთი ხალი

სიხარულით და განცვიფრებით შეგნიშნე შენაც.
ორივ შვილიშვილს ეს ნიშანი პაპათქევენისგან
გადმოგცემით,
თქვენს მამებს არ გამოჰყეა იგი.
მაშ ყურადღება მიაქციე ამ მახეილ აზრის
და თანდაყოლილ სიმამაცის უტყუარ ნიშანს!

ელპენორი

არა, ვერავინ ვერ შემაცდენს, ვერ მომატყუებს.

ანტიოპე

დავ ვგ შეერა იმედიანი
გიძლეოდეს ყველგან, შურისძიებაშ
არ გაგიტაცოს ზომაზე შეტად.
აშ კი მშვიდობით, მშვიდობები, შვილო!
ასგზის, ათასგზის გემშეიღობები,
მაგრამ ეს უკვე გარდუვალია.
თუმც ბედი შენი მომავალისა
საიდუმლოთი არის მოცული,
მაგრამ მე მასში, როგორც ქალღმერთი,
ვშვრეტ სიხარულსაც, მწუხარებასაც.
ორივე გრძნობა წილხვედრია ყველა კაცისა,
დიდსულოვანთ კი დიდი ზომით მოევლინება
სიხარულიც და მწუხარებაც, ღმერთების ნებით.
მაგრამ სიცოცხლე გაიმარჯვებს, ყველაფერს დასძლევს,
თუ ის იქნება სიყვარულით მუდამ მდიდარი.
სანამდე, ჩემო ერთადერთო, მეცოდინება,
რომ ცოცხალი ხარ, ისევ უმზერ მზის სინათლესა
და შენს მეგობრებს ესალმები სიხარულითა,
რაც უნდ შორს იყო, ბედნიერი ვიქნები მუდამ.
მაგრამ როცა ჩემს აჩრდილებთან გადავსახლდები,

წება მიძოძე, სიხარულით გელოდო დიდხანს.
 ღმერთმა ინებოს, აღმოჩნდეს ვინმე
 და შეგიყვაროს ამქვეყნად ჩემებრ.
 წამო, გაყრის წინ არას გვარგებს სიტყვების ფრქვევა,
 ტანჯვას, წამებას მომავალშიც მოვასწრებთ კიდევ;
 აწ კი ახალი ცხოვრების დღე დაიწყე ლალად!
 საცაა მოვლენ მამაშენის მოციქულები
 და მოციქულებს თვითონ იგიც მოჰყება მალე.
 წამო, წავიდეთ, ლირსეულად რომ შევეგებოთ
 იმ საჩუქრებსა და სიყვარულს, ჩეენთვის რომ მოაქვთ.

მეორე მოძმედება

პირველი გამოსვლა

პოლიმეტი

იმ ქალაქიდან, რომელიც ჩვენ მიგველის ასე,
 მოვდივარ ახლა ბედნიერის ბედშავი მონა.
 უხვი საჩუქრით წარმომგზავნა ჩემმა ხელმწიფებ
 თავის ყრმა ძესთან და თვითონაც ფეხდაფეხ მომდევს.
 მალე ვიხილავ უფლისწულის მშვენიერ სახეს
 და აღტაცების შეძახილებს საყოველთაოს
 მეც შევუერთებ საკუთარ ხმას მხიარულ ნიღბით,
 თუმც იდუმალი მწუხარებით ვარ შეპარობილი,
 რადგანაც დლემდე სულს მიშფოთებს ღალატი ძველი.
 დაჭრილი გული აქომამდე ვერ განიკურნა
 და მოყვავილე სიცოცხლისგან დაცლილა თითქმის.
 თავის გაბედულ საქმეების აღსასრულებლად
 მეფეს არ მართებს გაიჩინოს თანამზრახველი.
 ის, რასაც ტახტის და გვირგვინის მოსაპოვებლად
 ან სახელმწიფოს სიმტკიცისთვის მოიმოქმედებს,
 ეპატიება, რადგანაც იგი
 გვირგვინისთვის და სამეფოსთვის აკეთებს ამის,
 თანამზრახველს კი ჩაეთვლება იგი ღალატად.
 ამისთვის მეფე უყვართ ხოლმე, სძულთ მოლალატე.
 ვაგლახ, მეფენო!

თაგბრუდასხმულნი ვეძიებთ ჩვენ წყალობას თქვენსას
 და ამისათვის სულ ადვილად ვივიწყებთ ხოლმე
 ლირსებას ჩვენსას, სინდისსა და მოვალეობას.
 თქვენი წყალობა ვერჩენება ისე დიდ ჯილდოდ,

რომ ალარაფრად ალარ ვაგდებთ ღირსებას ჩენსას
 და ხშირად ვადებით მონაწილე ისეთი საქმის,
 რომელიც ჩენი სულისათვის უცხოა ძალებ.
 თავი მეფეთა ამხანგი გვგონია ხოლმე,
 თუმც ყურმოჭრილი მანები ვართ... დავლუნავთ მხრებს და
 ზურგს ვუშვერთ მეფეს, რომ იგი ცხენს შეახტეს მარდად.
 გაექანება მხედარი მსწრაფლ
 თავის მიზნისენ,
 ვიდრე ახედეს მოვასჭრებდეთ
 და მხრების გაშლას.
 ენაზე მადგა საიდუმლო უსაშინლესი.
 თუ გავამედავნე, მოლალატე ვიქნები ორგზის,
 და თუ დავფარე, ხელს შეეუტყობ სახიზღარ ღალატს.
 ფარისეულობავ,
 თანამგზავრო სიცოცხლის ჩემის,
 იქნება ახლა მაინც ახსნა
 ბაგეებს ჩემსას
 ბეჭედი მკაცრი დუმილისა
 ძლიერი ხელით?
 იქნება იგი საიდუმლო. რომელსაც დიდხანს
 ვერ განვეშორე და ვინახავდი.
 ვით დამწუხრებულ სნეულ მეგობარს,
 უნდა მოსცილდეს ჩემს გულს ახლა, ვით უცხოელი,
 და სხვა, გულგრილად წარმოთქმული სიტყვების მსგავსად
 შეერთოს ჰერს?

რარიგ მძიმე ხარ და ტკბილი თანაც,
 დანაშაულის აღიარებავ,
 თუმცა წიმებით სიმტკიცეს მმატებ,
 მაგრამ დრო შენი სიმწიფისა დადგება მალე.
 ისევ ვყოფმანობ და ყოყმანიც
 რარიგ მძიმეა,
 როს ამ ნაბიჯზე ჩენი ბედი
 ჰქიდია ხოლმე.
 ღმერთებო, მამცნეთ თქვენი სურვილი,—
 როგორ მოვიქცე:
 გავამხილო ეს საიდუმლო,
 თუ სამუდამოდ დადუმდეს ბაგე?

ელპენორი. პოლიმეტი.

ელპენორი

მოგესალმები გულითადად, ჩენო მოხუცო,
 ჩემო ერთგულო მეგობარო, რომელსაც ჩენოვის
 სიკეთე გსურდა სუყოველოფის ამდენი ხანი,
 ღირსი ხარ დღესაც მოისმინო სალამი წრფელი!
 მითხარ, რა მოგაქვს? ყველაფერი ხომ მალე მოვა?
 შენი მხლებლები სად არიან ან კარისკაცნი?
 სთქვი, გამიმედავნე, რას მიმზადებს დღე დღევანდელი?

პოლიმეტი

ძვირფასო პრინცო!
 შენი მოხუცი მეგობარი რა მალე იცან!
 ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც შენ დაგშორდი
 და მაინც თვალებს ვერ ვუჯერი, თავს ვეკითხები:
 ნუთუ ის არის? იგი არის ნაძღვილიდ განა?
 იმ ბებერ ხეს ჰეგავს ბერიგაცი, რომელიც იერს
 არ იცვლის ხოლმე, იგივე ჩანს, თუკი არ გახმა.
 შენ კი, ძვირფასო უფლისწულო, ახალგაზრდა ხარ,
 ყოველ გაზაფხულს ეგებები ახალი სახით,
 და კველა კაცი ისურებდა ეხილე მუდაშ
 ისეთი, ხელა როგორიც ხარ, ანდა იქნები.
 შეფის ელჩები მალე მოვლენ, რომელთა ნახების
 მოელი ასე გატაცებით სამართლიანიდ.
 მოვლენ, საჩუქრებს მოგართმევენ მამაშენისას,
 შენს საკადრისს და შესაფერისს დღევანდელ დღისა.

ელპენორი

სულწასულობა მომიტევე! მრავალი ღამე:
 არ მძინებია წესიერად, დილ-დილობით კი

აფრიკოდი ქლდებე და ჩემს ირგვლივ ვიმზირებოდი,
გადავყურებდი უსაზღვრო ტრამალს,
მსურდა, იქ მათთვის მომექრა თვალი,
თუმც ვიცოდი, რომ არ მოდიოდნენ.
ახლა კი მოცდაც არ შემიძლია,
მივქრივარ იმათ შესაგებებლად.
ნუთუ არ გესმის ყიუინა და ცხენთა თქარუნი?

პოლიმეტი

არა, მეფის ძევ. მე ისინი შორს მოვიტოვე.

ელპენორი

შითხარ, ჩემთვის რომ მოჰყავთ ცხენი, ლამაზი არის?

პოლიმეტი

ფიცხი, ფეხმალი, თეთრი, როგორც ნათელი მზისა.

ელპენორი

თეთრით, ამბობი მე ყორანა მინდოდა უფრო.

პოლიმეტი

რანაირ ცხენსაც მოისურვებ, მიიღებ წაშვე.

ელპენორი

ყორანა ცხენი ფიცხია ძლიერ,
მე კი მსურს მყავდეს ისეთი რაში,
თავს ძლიეს ვუჭერდე,
არ უთმობდეს გზას არც ერთ ცხენსა,
ვერ აჩერებდეს დაბრკოლება ვერავითარი,
არც მოშრიალე დროშებს უფრთხოდეს,

არც მტრისგან ნატყორცნ შუბების შხივილს
და წინ მაჟეროდეს დაფლაფთა ხმაზე.

პოლიმეტი

ვხედავ, მეფის ძევ, რომ არ შევმცდარვარ
და, რაც შენ გსურდა, მიემხედარვარ კარგად.
ალარ იცოდა მამაშენმა,—ვერ გადაწყვიტა,—
რა საჩუქარი გამოეგზავნა.
„ეგრე ნუ სწუხხარ, ხელმწიფეო, — ეუთხარი მაშინ,—
სამეკაულები, სამოსელი ბევრი აქვს ისეც,
მას იარალი გაუგზავნე მხოლოდ და მხოლოდ.
თუმც ჯერ არ ძალუს ტარება მათი,
მაგრამ მებრძოლის სულს შთაუნერგავს
და მკლავში მისცემს ვაჟკაცის ძალას.

ელპენორი

ბეღნიერი ვარ, დადგა უკვე ნანატრი წამი!
სთქვი, მაღლობა რით გადაგიხადო,
რომ ასე კარგად გამოიცან სურვილი ჩემი!

პოლიმეტი

არა მარტო მე, მიანიჭებ სიკეთეს მრავალს.

ელპენორი

მაშ, რაც სთქვი, მართლა სუყველაფერს მივიღებ დღესვე?

პოლიმეტი

და კიდევ მეტსაც.

ელპენორი

კიდევ მეტსაც?

პოლიმეტი

პო, კიდევ შეტსაც.

მიიღებ იმას, რაც ოქროზე ძვირფასი გახლავს,
რის მოპოვებას ვერც ძლიერი მახვილით შესძლებ,
საყვარელია რაც ყველასთვის, რომლის ჩრდილითაც
თავხედი კაცი, ულმობელი ტირანი ტებება.

ელპენორი

დამისახელე მაშ ეგ განძი, ნულარ მანცვიფრებ
მაგ გამოცანით.

პოლიმეტი

ჭაბუკები კეთილშობილნი
დღეს შეგხვდებიან იმედით, ნდობით
და თავიანთ ერთგულებას შემოგფიცავენ.
მათ გაბრწყინებულ სახეებზე აღძეჭდილია
ის სიხარული ათასეულ შენ ქვეშევრდომთა,
რითაც ისინი მისვლას შენსას ელოდებიან.

ელპენორი

ჩემს შესახვედრად იკრიბება ქუჩებში ხალხი?

პოლიმეტი

გადაივიწყა ყველა კაცმა თავისი საქმე
და თვით უქნარა ზარმაცებიც ფეხზე წამოხტნენ.
სუყველას მხოლოდ შენი ნახვა მოსწურებია
და ხელმეორედ განიცდიან იმ დღის სიხარულს,
როცა პირველად მოევლინე შენ ამ ქვეყანას.

ელპენორი

პოი რარიგი სიხარულით შევხედები იმათ!

პოლიმეტი

დე მითმა მზერამ შენს სულში ღრმად შემოაღწიოს
რადგან, მეფის ძევ, ამნაირ თვალებს
თვითონ ხელმწიფეც ვერასოდეს იხილავს ხოლმე.
რასაც მოხუცი მიოგონებს სიამოვნებით
გარდასულ დროზე,
რასაც კაბუკი იოცნებებს შორ მომავალზე,
ჩაქსოვილია შენს გვირგვინში იმედის მიერ
და იმ შორეულ მისნისენ გიშვევს,
რომელსაც უნდა შენ მიაღწიო.

ელპენორი

ვით მამაჩემი, ხალხმა უნდა მეც შემიუვაროს
და პატივი მცეს.

პოლიმეტი

— პატივსა გცემს შენ უფრო შეტად.
როდესაც მეფე მოხუცება, ხალხის იმედი
უკან ბრუნდება მის გულში ისევ
და იქ მდუმარედ ჩაიკრტება;
მაგრამ, როდესაც დაინახავს ახალ ხელმწიფეს,
თავისუფლდება შებოჭილი სურვილი მისი
და ყველა კაცი მიისწრაფის მის შესახვედრად,—
გიშიც, ჰეკიანიც,— რათა დასტებეს თავისუფლებით
და ისევ შეებით ამინისუნიაქოს.

ელპენორი

მამაჩემსა ვთხოვ, ხალხს გულუხვად გაუმასპინძლდეს
ღვინით და პურით და ცხვარ-ძროხა გაუნაწილოს,
რამდენსაც იგი შეეღევა.

პოლიმეტი

სიამოვნებით

დაგეთანხმება. ამნაირ დღეს ჩვენ ვერასოდეს
ვერ მოვესწორებით, დე ზეიმით დატებეს ყოველი!
რა იშვიათად ვეძლევით ხოლმე
საყოველთაო მხიარულებას.

ჯვლა თავისთვის ზრუნავს და იღწევის.
ხალხს იპყრობს უფრო ჩხუბი და მტრობა,
ვიდრე ერთურთის სიყვარული და სიხარული.
შენ ნახავ მამებს, თავიანთ შეილებს
მოხხევებიან და აღტაცებით
ეტყვიან ასე: „აგერ, ის მოდის!“
მაღალი მდაბალთ შეხედავენ, ოოგორც თანაბართ,
და მონა ბატონს მხიარულად თვალს გაუსწორებს,
დამმტირებელი დამცირებულს შეხედება მზეიდი
მონანიებით და მეგობრულ ზეს შესთავაზებს,
რომ ერთად დატებენ ბედნიერი დღესასწაულით;
კვლავ შეაერთებს სიხარული უმანქო ხელით
ერთურთისადმი მეგობრულად განწყობილ გულებს
და დღესასწაულს დაამსგავსებს იმ ოქროს დღეებს,
როცა სატურნი ამ ქვეყანას მართავდა მშვიდად
ვით მამა, შვილთა მოსიყვარულე.

ელპენორი

რამდენ ამხანაგს მომიყვანენ? აქ სამი მყავდა
და მეგობრები ვიყვათ კარგი.
თუ ვიჩხუბებდით, მალე ისევ შევრიგდებოდით.
თუ მეყოლება ისინი ბევრი,
ჩვენ გავიყოფით ორ მტრულ ბანკად:
თავდასხმას, ბრძოლას ვითამაშებთ სერიოზულად.
შენ იცნობ იმათ? ხომ მორჩილი, კარგი ბიჭები
არიან, ჩემო პოლიმეტი?

პოლიმეტი

ნეტა გენახა,

რა თავიადი გვთავაზობდა თავის შვილს ყველა

და ჭაბუკებიც რარიგ ცდილობდნენ,
მოხველრილიყვნენ რჩეულთა შორის!
ჩვენ კი ყველაზე კეთილშობილი
ამოვარჩიეთ თორმეტი ბიჭი,
რომელნიც მუდამ გიერთგულებენ.

ელპენორი

მაგრამ ხომ ძალმის მოვითხოვო მაგაზე მეტი?

პოლიმეტი

რამდენიც გნებავს, ოლონდაც კი ისურვე, პრინც!

ელპენორი

მათ შორის უფრო საუკეთესოთ
ავირჩევ, ჩივწერ ჩემს პარტიაში.
მათ მე წავიყვან უცნობ ბილიკით
და მტერს უერად თავს დაეცსხმებით,
გავანადგურებთ, დავანგრევთ მის ციხე-სიმაგრეს.

პოლიმეტი

მაგნაირ სულით სათამაშოდ ჯერ ახალგაზრდებს,
შემდეგ კი მთელ ხალხს საბრძოლველად
წინ წარუძლებები.

ყველა მათგანი თან გამოგყება
და შენთან ივლის განუშორებლად.
აღინთებიან ჭაბუკები ბრძოლის წყურვილით
და დაგიცდიან, საით წაიყვან —
სიცოცხლისაკენ. თუ სიკედილისკენ.
შენ გამოცდილი ვაჟეაცებიც გამოგყებიან
და თვით მოხუციც დაივიწყებს სიბრძნის გაკვეთილს,
დაუბრუნდება სიცოცხლეს ისევ
და მყაცრ ბრძოლაში გადაეშვება.

დიახ, მეფის ძევ, მაშინ ამ ჩემს ჭალარა თავსაც
ნახავ, შენს გვერდით გრიგალს როგორ შეეგებება
და იქნებ სისხლიც დავაქციო შენის მიხენით.

ელპენორი

მაგის რას ამზობ? არ ინანებთ შეფობას ჩემსას.
თქვენთან ეიქნები, სადაც უფრო გაგიჭირდებათ.
ეს უნდა გწამდეთ, უნდა მენდოს ყველა თქვენგანი.

პოლიმეტი

შენდამი ნდობა შთაგვაგონეს ღმერთებმა უკვე
და მისი დაცვა ჩენთვის არის ადვილიც, ძნელიც.

ელპენორი

ჩემდამი ნდობას მე არც ერთ კაცს არ დავუკარგავ,
ვინც ყოჩალია, ჩემთან ახლოს იქნება მუდამ.

პოლიმეტი

შენ არ იქნები შარტოოდენ ბერნიიერთ მეფე.
უბედურებას, მწუხარებას, სულიერ ტანჯვას,
მკეთრად ალბეჭდილს, შენიშვავ შენ უამრავ სახეს.
ისინი ქვეყნად ტანჯულნი და უარყოფილნი
არიან, რადგან უკუაგდონ სასტიქმა ბედმა,
მაგრამ უჩინრად მისყვებიან გამედულ ვაჟეაცს
და ლვთის ყურამდე ალწევს ხოლმე ვედრება მათი.
უძლურთაც ძალუდო მოულოდნელად
აღმოუჩინონ დახმარება ამ ქვეყნის ძლიერთ.

ელპენორი

შე მხიარული ყიუინა მესმის,
დაფდაფთა ხმები ალწევს ჭალიდან.
გამიშვი, ჩავყვე ციკაბო ბილიქს,
ჩენსკენ მომავალთ რომ შევეგებო.

შენ კი გამომყევ ამ ფართო შარის,
ჩემო მოხუცო; თუ გსურს, აქ დარჩი!

ვასაშვ გამოსცლა

პოლიმეტი

ო, რარიგ ხიბლებს პირუერობა ამ ახალგაზრდას,
მაგრამ ამაში უბრალო ვარ და უანგარო.
ოდესმე, როცა მოგვიხდება შექება შენი
იმ საქმეთათვის, რაც იქნებ არც მოგვწონდეს გულში,
პო რარიგ მძიმე ასატანი იქნება ჩენთვის.
ბერნიიერია, ვინც ამ ქვეყნის შეუფეთაგან
შორს იმყოფება,
ვინც შორიდან პატის სცემს იმათ
და მაღლიერი არის მათი გამგებლობისა!
არ იზიარებს ის მეფეთა იდუმალ ტანჯვას,
ის მხოლოდ მათი სიხარულის შონაწილეა.
ო, ვაგლახ, ვაგლახ!

დღეს მე ორგზის უბედური ვარ!
მშვენიერო ყრმავ, დაგტოვო ცოცხლად
და ის ურჩხული, რომელს შენი დაიტლეთა ძალუძს,
კვლავ ჩაკეტილი მყავდეს მღვიმეზი,
თუ ჩენს დედოფალს შევატყობინო,
რაც ჩაიდინა მამაშენმა მის წინააღმდეგ?
დამაჯილდოვებ ამ ღუმილისთვის
და დააგასებ ჩემს ცრთგულებას?

რას შეიძლება მოცელდე მოხუცი შენგან?
ზედმეტი ტვირთი ვიქნები შენთვის
და, თუ გზად გავლით ხელს ჩამომართმევ,
დიდ მოწყალებად ჩამითველი ამის.
თანამზრახველთა ნიალვარი შორს გაგიტაცებს,
ჩენ კი დაგვთრგუნავს მძიმე კვერთი მამაშენისა.
არა! თუ მინდა მზის სინათლეს ცუცქირო კიდევ,
თქვენს შორის უნდა ჩამოვაგდო უთანხმოება.
და როცა შფოთი, გასაჭირი, სასოწარკვეთა
შეგიპურობთ, მაშინ დამატესებთ და, როგორც უწინ,

იმ წყეულ დროში, აღმოვჩნდები საჭირო თქვენთვის.
სწორედ ამგვარად ჩამოხსნიან ძველ ხმალს კედლიდან
საშიშ წუთებში და პირიდან უანგს გადასწორენდენ.
მაშ წამოდექით საფლავებიდან
თქვენ, აჩრდილებო საიდუმლო, შავბნელ საქმეთა,
გამოამუდავნეთ საზიზლარი დანაშაული
და გადაფარეთ მქისე წყვდიადით
სამეფო ტახტი, საფლავებზე აშენებული,
რომ ყველას გული საშინელებამ
შეაძრწუნოს და იაკახცახოს,
როგორც მიწაზე დაცემულმა მეხის გრიალმა.
დაე შესცვალოს სიხარული სასოწარკვეთამ,
ყველას იმედი გაუქარწყლდეს,
გაუნიავდეს.